

ისფორიული მიმწერება

ძუბა, გლეხ და პროფესიალთა მოკეთე

ზუგალჟაშვილები

დ ა

ქათებან გაკეთებული ისტორიული და

კულტურული ძეგლები 1690—1905 წ.

აღწერილი და გამოცემული ჭავ. კიბინაძისაგან.

35762



ფ ფ ი ლ ი ხ ი

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-სი, საშა წულუკიძის № 4.

1924



მუზეგის და პროლეტარიატის დამჩვარებულების შეგა- ლაშვილეგი და მათგან გაკათაგული ქავლეგი

XVII

ისტორიული საბუთებით ვიცით, რომ ამ გვარის წევრნი საზოგადო საქმეების კეთებით, მუშების, ხელოსნების, გლეხების და პროლეტარიატის წინაშე, ქომაგობის გაწევით, კარგათ სჩანან მე-17 საუკუნიდან. იმ დროს, ანუ მე-17 საუკუნეში, ზუბალაშვილების გვარში კარგათ ცნობილნი იყვნენ: —ზურაბი, ვიორგი, მერაბი, თამარი, მარიამი და სხვანიც, ესენი იმ დროს იყვნენ დიდათ შეძლებულნი და მასთანავე დამხმარნი იმ დროის ღარიბ-ღატაკ ხალხის, ებმარებოდენ განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა, შიშველ ტანთ მოსავლნენ, მშივრებს აძლობდნენ, უქონელთ ქონებას აძლევდნენ, ღარიბთათვის აკეთებდნენ სკოლებს, თავშესაფარ სახლებს, უშენებდნენ ეკლესიებს, სოფლის კოშკებს და მასთან იხსნიდნენ საბატონო გლეხებს და ანთავისუფლებდნენ ბატონყმობიდან.

XVIII

მეთვრამეტე საუკუნეში, ამავე გვარის წევრნი, უფრო დაწინაურდნენ კეთილი საქმეების კეთებით, ესენი უფრო მრავლათ მიზდევდნენ ღარიბ-ღატაკთა საქმეებს, ასეთნი იყვნენ იმ დროს, ივანე ზუბალაშვილი, იაკობი, მერაბი, ანდრია სტეფანე ფრანცისკე და სხვანიც, როგორც მამა კაცები, ისე ქალები. უნდა ითქვას, რომ ყველა ესენი იმ დროის თბილისის ღარიბ-ღატაკებს უხსნიდნენ სამფარველო სახლებს, უშენებდნენ სკოლებს. ანდრიამ 1775 წ. გააკეთა ტფილისში სამათხოვრო სახლი, თავის შეძლებიდამ შესწირა დიდი ფული, ფრანცისკე იხსნიდა მრავლად საბატონო ყმებს ტფილისში, გორში და ანთავისუფლებდა. სტეფანე ზუბალაშვილმა ინდოეთში დაიწყო მგზავრობა და იქ გაჰქონდა და შემოჰქონდა სხვა და სხვა სა-

ქონელი და მით ხელს უწყობდა და უაღვილებდა მუშებს საზრდოს მოპოვებას. ეს ამათი ქველმოქმედება მაშინ მთელმა საქართველოს ერმა იცოდა კარგად.

XIX

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან, საქართველოს სამეფო რუსეთის იმპერიას დაუკავშარდა, იმ დროდან ჩვენი ქვეყნის წესები და ხალხის ცხოვრების პირობებიც შეიცვალა, ამიტომ ზუბალაშვილების გვარის წევრთაც თავიანთ მოქმედებას უფრო ფართე მიმართულება მისცეს. იმ დროს, რუსეთის მთავრობის წინაშე, დიდი სახელოვნებით გამოჩნდნენ ივანე ზუბალაშვილი, გიორგი, ანდრია, იაკობი და შემდეგ დროს ამათი მომდევარნი. ახლა მოვთვლით ამათ ცნობებსაც.

1802 წ. იაკობ ზუბალაშვილმა გორის მაზრის სოფლებში მოკრიფა ისეთი ღარიბ-ღატაკი გლეხკაცები, რომელთაც ხარ-კამბეჩი და ურმები არ იქმნდათ, ასეთ გლეხებს იაკობმა გაუკეთა ურმები, უკიდა ხარ-კამბეჩი, შეუბა ურმები, მერე ეს გლეხები რუსის მთავრობის წინაშე მიიყვანა და აულო სამხედრო და სამოქალაქო ბარგის გადმოტანა კავკაციდან თბილისში. გლეხები შეუდგნენ გადმოზიდვას, რამდენიმე ხანში გადმოზიდეს და ამ გადმოზიდვაში მათ უფულოდ დარჩათ ურმები და ხარ-კამბეჩი, ამას გარდა მათ ფულიც ერგოთ კიდევ გადმოტანაში.

ამგვარად რამდენიმე კომლი ღარიბ გლეხკაცობა გახდა მცირე ქონების პატრონი, რაც იმ დროს, სამაგალითო იყო მთელ საქართველოში, რაღვანაც, მაშინდელი მდიდრები ასეთ საქმის კეთებას სულ არ მისდევდნენ.

1805 წ. იაკობ ზუბალაშვილმა, ივანემ, ანდრიამ და მერაბმა გახსნეს ორი პურის მაღაზია, ავლაბარში, თბილისის გუბერნიის სოფლის გლეხებს ასწავლეს ამ პურის მაღაზიაში ხორბლის, ფქვილის მიტანა და გაყიდვა. გლეხები მალე მიეჩვინენ იქ ფქვილის მიტანას და გაყიდვას. ამ გვარად ქართველ გლეხებმა მაშინ ისწავლეს გასყიდვის ოსტატობა, წონა და მასთან ისწავლეს რუსული ფულის ფასი და მათი ფასის რიცხვი, რაც მაშინ დიდი საქმე იყო უგონო გლეხკაცისათვის.

ამავე ზუბალაშვილებმა, იმავე დროს, საქართველოს ზოგ
სოფლებში გახსნეს არყის ქარხანა, და გლეხებს აუწყეს ასეთი
დარიგება: ჩვენ გავხსენით არყის სახდელი ქარხნები. დღეს
შემდეგ თქვენ ვისაც ჭაჭა გექნებათ, ჩვენ ქარხანაში მოიტა-
ნეთ და ჩვენ ვიყიდით. მართლაც გლეხებმა დაიწყეს ამათ ქარ-
ხანაში ჭაჭის მიტანა და მისყიდვა, რაშიაც იგინი იღებდნენ
კარგ ფასს, მინამდის — კი ეს გლეხებაცები ჭაჭის სანაგვეში ჰყო-
ლნენ, ესეც დიდი საჭმე იყო იმ დროს.

ამავე პირებმა იმოცადინეს და ქ. თბილისში, კერაზედ
გააკეთეს ერთი დიდი შენობა და შიგ მოაწყეს შაქრის ქარხა-
ნა. ამ ქარხანამ გასტანა 1835 წ. ქარხანაში მუშაობდნენ სამა-
სამდის ხელოსნები და მუშები. ეს შაქარი იყო ყვითელი ფე-
რისა, მეტად ტკბილი და მასთან დუნე თვისების. ამ ქარხნის
შაქარი გირვანჭა 15 კაპ. იყო, ქართულ შაქარს რუსულ შა-
ქარმა აჯობა სიმაგრით, და ამიტომ დაიხურა ეს ქარხანა.

ამავე პირებმა იმავე დროსა იჯარით აიღეს ბაზალეთის
ტბა, იქ წურბელას იჭერდნენ და მთავრობას აძლევდნენ, რო-
გორც გამოსადევ საჭიროებას მკურნალობისათვის.

იმავე დროს, იაკობ ზუბალაშვილმა დაამთავრა ის დიდი
შენობა, რომელიც დღეს თბილისის, იარმუკის თავზე არსე-
ბობს, სადაც დუქნებია მოთავსებული, აღრე კი აქ ქართული
სემინარია იყო. ეს დიდი შენობა აი რა გვარად დასთმო იყობ
ზუბალაშვილმა. 1837 წ. თბილისში ჩამოვიდა ნიკოლოზ პავ-
ლეს-ძე, თბილისის ქალაქმა ამ ზუბალაშვილის შენობაში გაუ-
მართეს იმეპერატორს ნადიმი, აქვე მიწვეული იყო, მაშინდე-
ლი საქართველოს ეგზარხოსმა ეს შენობა რომ
ნახა, დაათვალიერა, დიდათ მოეწონა და იმპერატორის დახმა-
რებით იაკობ ზუბალაშვილს სთხოვეს ასე: ეს შენობა ჩვენი
სასულიერო წოდებისათვის დიდ საჭიროებას შეადგენს, ჩვენი
სემინარიისათვის ძლიერ კარგი რამ არის, ამიტომ გთხოვთ,
რომ სიკეთე გვიყოთ და მოგვყიდოთ. იაკობ ზუბალაშვილმა
მოისმინა ეს დავალება, და ასეთი პასუხი მისცა:

რაკი სემინარიისათვის გნებავთ, მე უარს ვერ გეტყვით,
დაგითმობთ, მოგარომევთ და ამაში მე თქვენ გამოგარომევთ

მარტო აგურის ფასს, რაც კი მე მარტო აგურში მიმიცია. ეს ფული გამოართვა იაკობმა და მთელი შენობა უთავაზა ქართულ სამღვდელოებას სემინარიის მოსაწყობათ. მაშინათვე მოაწყეს სემინარია. ასე და ამ გვარად ქართველმა სამღვდელობამ იშოვნა ეს უზარმაზარი შენობა თავიანთ შეილთა სემინარიის მოსაწყობათ და გასახსნელათ

ამ კეთილ და სამაგალითო იაკობის შეილი გახლავთ კონსტანტინე ზუბალაშვილი, კონსტანტინეს სიცოცხლის დროში, იწყება ზუბალაშვილების სამაგალითო სამსახური. თბილისის პროლეტარიატის წინაშე, რასაც აქ მოვსოფლიდ შემოკლებით მაინც, რომ ამ უკვდავ კაცთა სამაგალითო საქმეები დღევანდელმა პროლეტარიატმა იცოდეს და მასთან ჩვენმა კომუნალურ მთავრობამაც პატივი აფხს ასეთ ამაგს სხვების მისაბაძათ მაინც.

კონსტანტინე იაკობის-ძე ზუბალაშვილი დაიბადა 1829 წ. ეს კაცი წინეთ სამხედრო სამსახურში მსახურობდა; მერე მრეწველობა დაიწყო და სხვათა შორის, ბაქოში იყიდა ადგილები, საღაც მას იმედი ჰქონდა, რომ იქ ნავთის წყაროები გამოვიდოდა. ეს კონსტანტინე ზუბალაშვილი იყო თავის დროის კვალად დიდათ ქველმომქმედი, დიდი დამხმარე ლარიბ-ლატაკი ხალხის, ისე დიდი დღესასწაული დღეები არ იქნებოდა, რომ კონსტანტინეს თბილისის ლარიბებისათვის, განურჩევლად სარწმუნოების და ეროვნებისა, მათვის დახმარება არ დაერიგებინა.

ეს კაცი ამისთანა საქმეებით დიდათ ბაძავდა თავის წინაპრებს. ასეთივე სამაგალითო ადამიანი იყო კონსტანტინეს მეუღლეც, ელისაბედი მიხეილის. ასული, ზუბალაშვილისა. კონსტანტინე და ელისაბედ ზუბალაშვილის-ძენი გახლავთ სტეფანე ზუბალაშვილი, ლევანი, პეტრე და იაკობი, რომელთა მოქმიდებითაც იწყება ჩვენი ლარიბ-ლატაკთა წინაშე სამაგალითო საქმენი დი უხვი შეწირულებანი. ვიტყვით, რომ კონსტანტინეს შეილებმა თავიანთ შეძლებისადაგვარად შეუძლო ხალხის ცხოვრების პირობებზე უფრო ფხიზელი შეხედულება გამოიჩინეს, მათ გადააჭარბეს. თავიანთ წინაპრებს. ეს რომ მართალია ამას გამოაჩინს შემდეგი ცნობებიც:

კონსტაქტინე ზუბალაშვილი გარდაიცვალი 1900 წ. ამის სიკვდილის აღსანიშნავად, მისმა შვილებმა: სტეფანემ, თავის ძმებით ქ. თბილისის ღარიბ ხალხს დიდი ფული შესწირეს, ამ ფულით მათ ისურვეს ომე ძეგლის გაკეთება, ამაზედ თბილისის გამგეობა შეეკითხა სტეფანეს: თუ ამ თქვენი შეწირული ფულით რა უნდა გააკეთოთ? სტეფანემ ასეთი პასუხი მისცა:

მე გავაკეთებ ისეთ სახლს, რომელიც იქნება საკუთრება მუშათა და პროლეტარიატის, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. იგი არც ქართველის იქნება, არც სომხის, არც რუსის, იგი იქნება მუშების და პროლეტარიატის, ამიტომაც იგი იქნება ყველას საკუთრება. მართლაც ამის შემდეგ სტეფანემ დაიწყო სახალხო სახლის კეთება 1901 წ., რომელიც დღესაც თავმოსაწონად სდგას თბილისში და საღაც დღეს წარმოდგენებიც იმართება ყველა ენებზე, და ამ სახლისა პატრონობს და განაგებს თბილისის მუშები და პროლეტარები, განურჩევლად სწრატმუნოებისა და ეროვნებისა. ამავე უკვდავ ძეგლის გვერდით, არის მეორე შენობაც, საღაც მოთავსებულია დიდი სამკითხველო. აქ მუშები და სხვანიც კითხულობენ ყველა ენებზე წიგნებსა და გაზეთებს. ამავე სახალხო სახლის უკან შეძენილი იქნა ლევან ზუბალაშვილისაგან თავის ძმებით კარგი სახლი პერკოვისა, რომელიც წინათვე აკუთვნეს ქალაქის სახალხო სახლის გასაფართოვებლად.

სტეფანე, როგორც კარგად დამკვირვებელი ღარიბ-ლატაკთა ცხოვრების, ამან მოიკითხა და ჩქარა შეიგნო ისიც, თუ მუშებსა პროლეტარებში რა უფრო საჭირო არის, რომ ჩვენის ხარჯით გავაკეთოთო, მალე შეიტყო ის ცნობა, რომ მუშებში და ღარიბებში ძლიერ მრავლად იხოცებიან პატარა ბავშვები, რადგანაც მათ ძლიერ, უჭირდებათ საბავშვო უქიმების შოვნა და წამლობა.

ამიტომაც ამათ თავი იდვეს და თბილასში დაარსებული იქნა საექიმო, საღაც მუშათა და პროლეტართა ბავშვები დიდად სარგებლობენ, უნდა ითქვას, რომ ესეც პირველი შეგალითი იყო იმ ღროის ჩვენი ქვეყნის ღარიბ-ლატაკთა წინა-

შე. აქ ჩენ ვნუსხავთ დიდრონ საქმეებს და წვრილმანებს არა
ვთვლით. ამის მაგალითი კიდევ აი რაა:

იმ დროს, ვერაზე კეთდებოდა ქართული გიმნიზის შენო-
ბა, რომელ შენობაშიც დღეს მოთავსებულია სახელმწ. უნი-
ვერსიტეტი. ერთხელ აღდგომის მესამე დღეს, სტეფანე ეწვა
ამ შენობას, იქ მისვლისას კარზე დახვდი ნიკოლოზ ცხვედაძე
და დიმიტრი დუმბაძე, შენობის მაშენებლები. სტეფანემ დაი-
არა, ნახა შენობა, დაათვალიერა, დიდათ მოეწონა, აღტაცე-
ბული დარჩა, იმ დღეს, იქ მუშებიც მუშაობდნენ, შენობის
ლათვალიერების შემდეგ, მუშებთან მივიდა, სალამი მისცა,
ცნობები ჰკითხა და მის შემდეგ მუშებს უძღვნა კარგა ბევრი
ფული ასეთი სატყვით:

„ეს ფული მომირთმევია თქვენთვის, ამით თქვენ დღეს
სადილი მიირთეთ, ლვინო დალიეთ და ამ შენობას უსურვეთ
მალე დამთავრება, ღმერთმა ჯანი მოგცეთ და კარგათ გამყო-
ფრთ, რომ ეს შენობა კარგათ, მკვიდრათ დამთავრდეს.

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ეს შენობა თქვენი საკუთ-
რება არის და იგი თქვენთვისა და თქვენი ნათესავის შვილები-
სათვის კეთდება, ამიტომ მე იმედი მაქვს, რომ ამ შენობის
კეთების დროს, თქვენ გამოიჩენთ დიდ მხეობასა, რომ ეს
თქვენი შვილების სასწავლებლის შენობა მკვიდრად და კარ-
გად გაკეთდეს“.

ასე დაამთავრა სტეფანემ თავისი სიტყვა, მუშები აღტა-
ცებულნი დარჩნენ და იქვე მათ დიდი მაოლობა გადაუხადეს
სტეფანე ზუბალაშვილს, მუშებზე მეტად დიდი ხსოვნა დას-
ტოვა სტეფანემ.

ასევე შესწირეს დიდი ფული სტეფანემ და იაკობმა აწინ-
დელი კონსერვატორიის ასაგებათ, რომელიც იმყოფება ამ უ-
მაღ გრიბოედოვის ქუჩაზედ.

ერთ დროს თბილისში გამოდიოდა მუშების ერთად ერთი
გაზეთი „კვალი“. ეს გაზეთი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა, გა-
მოცემისთვის სტეფანე ზუბალაშვილს დახმარება სთხოვეს. სტე-
ფანემ მოისმინა დავალება და მაშინათვე დაპირდა თვიურად
დახმარების მიცემას. ესევე სტეფანე ზუბალაშვილი დახმარებას

აძლევდა უურნალ „მოგზაური“-ს რედაქციას, ივრეთვე ეხმარებოდა გაზეთ „ივერია“-ს, რადგანაც ერთ დროს ეს გაზეთიც იყო გაკირვებაში ჩავარდნილი.

სტეფანე ზუბალაშვილი დახმარებას აძლევდა ივანე როსტომაშვილს და ესეც ბეჭდავდა სახალხო სამეცნიერო წიგნებს, რომელ წიგნებსაც ზედ ეწერა, რომ გამოცემული სტეფანე ზუბალაშვილის საფასით, ასეთი წიგნები გამოიცენ ორმოცხვდ მეტი. ასე და ამ გვარად სტეფანეს გულკეთილი დახმარება თბილისის ლარიბ-ლატაკ ხალხს არ მოჰკლებია, ვიღრე იგი ცოცხალი იყო. იგი გარდაიცვალა 1903 წ. და მის შემდეგ, მისსავებ აღმოჩნდა მისი უმცროსი ძმა, იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი.

იაკობ ზუბალაშვილის ფულით იძეჭდებოდა გაზეთი „ვოზოუდენია“, 1905 წ., რომელიც ემსახურებოდა რევოლუციის ინტერესებს. ამისივე ფულით გამოსვლა დაიწყო განახლებულმა „ივერია“-მაც, თვიოური საბავშვო უურნალი „ნაკადული“-ც, რომელიც ეხლა გადაეცა თავის დიდის ქონებით განათლების კომისარიატს.

იაკობის წადილი იყო წიგნის გამომცემელ ამხანაგობის „ცისკრის“ დაარსება და მის საშუალებით კარგი წიგნების გამოცემა. ამავე იაკობის აზრი იყო, რომ ქართულ ენაზედ უნდა შემუშავებულიყო და მოწყობილიყო სამეცნიერო, ანუ ენციკლოპედიური ლექსიკონები და სხვაც ასეთნი.

ასეთი საკულტურო საქმეებს გარდა, არც სხვა ფრივ იყო მდუმარე, და იგი ჩვენი გლეხეკაციანის ცხოვრებასაც მაღალი სიბრალულით უმზერდა, ამიტომაც იყო, რომ ახალგაზდა იაკობ ზუბალაშვილმა თავის ძმებით სოფელ ვარიანის, 40 კომლი სრულიად და სამუდამოთ გაანთავისუფლა უფულოდ ბატონ-ყმობიდან, ასეთივე დახმარება გორის მაზრაში გადმოსახლებულ გლეხებსაც მიეცათ. გლეხებმა ამის ფულით იყიდეს ოთხ-ტეხი საქონელი:

ზუბალაშვილებს აღრიდგანვე პყვანდათ მრავლათ მიღებული სხვა და სხვა სჯულისა და ეროვნების სტიპენდიატები, რომელთაც ისინი ზრდიდნენ, როგორც დაბალ სასწავლებლებში, ისევე უმაღლესში. ზრდიდნენ რუსეთს გარდა ევროპა-

შიაც. ასეთ სტიპენდიატებისას ერთს ნაწილს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიც ზრდიდა ზუბალაშვილების ფულით.

დასასრულ უნდა მოვიყვანოთ ცნობა სტეფანეს ბიძის ნაკოლოზ გიორგის ძის შესახებ, რომელიც დაიბადა 1820 წ. და გარდაიცვალა 1898 წ. ამ კაცმა თბილისის გამგეობას დაუტოვა იმოდენა შეძლება და ამისი ანდერძიც, რის ძალითაც გამგეობამ მთაწმინდაში გააკეთეს კარგი შენობა და შიგ მოათავსეს ღარიბ-ღატაკთა სახლი, ისიც ისე, რომ იქ არიან ქართველი, სომეხი, რუსი და ფრანგი. ამათ საზრდოს ფულიც არის უკვდავათ ზუბალაშვილის თანხიდან 'დატოვებული.

ასე და ამ გვარად, დღეს ქ. თბილისი გამშვენებულია ზუბალაშვილების აგებულ ძეგლებით, საითაც კი გაიხედავთ, მარჯვნივ თუ მარცხნივ, ზეით თუ ქვევით,— ამათ ნაშენ ძეგლებს დაინახავთ, რასუც დღეს იგინი შეაღგენენ მუშების, ხელოსნების და პროლეტარიატის საკუთრებას.

და განა შეიძლება, რომ ამ დამსახურებულ გვარის წევრთა ისტორიული ამაგი, რომელიც გადაშლილია სამასი წლის განმავლობაში ჩვენს თვალწინ, რომ კაცმა და ნამეტნავ მუშებმა, ხელოსნებმა, გლეხებმა და პროლეტარებმა ყველა ეს სიკეთე დაივიწყონ, რასაკვირველია, რომ არა და არა, ამიტომაც აღვნუსხეთ ეს სამახსოვრო უკვდავი ცნობები და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ისტორიულ გვარის ღირსებას არც მუშები და პროლეტარები დაივიწყებენ და მას ჩვენი სოციალურ კომუნალური მთავრობაც არ დასტოვებს უყურადღებოდ. ესენიც მიაქცევენ ჯეროვან სამართლიან ყურადღებას, რის ღირსიც არიან აწინდელ ზუბალაშვილების გვარის წევრნიც.

დღეს, ამ დამსახურებულ გვარის წარმომდგენნი არიან თბილისში იულია კონსტანტინეს ასული თუმანიშვილისა, კარგად ცნობილი პავლე თუმანიშვილის დედა, და ანნა კონსტანტინეს ასული ბეზირგანიშვილისა *).

¶. 8.

*) ამ წერილის მასალებათ მე ვხმარობდი შემდეგ წიგნებს: 1. ახალგაზის ძევლი საფულესიო ორქივის წიგნები, 2. გორის ეკკლესიის ძევლ წიგნები, 3. კავკასიის ქართველის 1, 2 და 5 ტომებს, 4. ზუბალაშვილების გვარის ისტორიას, გამ. 1900 წ. და 5 სხვა ისტორიულ მისამართში.

947.922

4551

657/5

enq L-

87/5

ଓହାରୀ ପରିକାର ପାନ୍ଦୁଳି

ଫର୍ମନ୍ଦି 10 ପାତ୍ର. ଶେଖରଙ୍ଗ.

ଅଧିକ